

ირინე კურტანიძე

LCC International University, Lithuania

„ერაზმუს+“ ის აკადემიური მობილობის პროგრამის ფარგლებში, 2023 წლის აპრილში ვიმყოფებოდი LCC საერთაშორისო უნივერსიტეტში (ლიეტუვაში), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კარიერული თუ ცხოვრებისეული გამოცდილება იყო.

მობილობის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებს წავუკითხე ლექციები თემაზე: პოლიტიკური კომუნიკაცია; სტრატეგიული კომუნიკაცია და ასევე, პოლიტიკური კამპანიების დაგეგმვა და მართვა. ბევრი ვისაუბრეთ აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, გამოწვევებსა და პოლიტიკური კომუნიკაციის თავისებურებებზე.

გარდა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა, წავიკითხე საჯარო ლექცია, რომლის ფარგლებშიც ვისაუბრე ჩემს ძირითად საქმიანობაზე - აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური კომუნიკაციის მიმართულებით და კავკასიის უნივერსიტეტზე.

ასევე დავესწარი ბოლო კურსის სტუდენტების საბაკალავრო ნაშრომების დაცვის პროცესს და მონაწილეობა მივიღე ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების ექსპერიმენტებში. თუმცა, ყველაზე საინტერესო ის ადამიანები არიან, რომლებიც მობილობის ფარგლებში გავიცანი და დღემდე ვაგრძელებთ ურთიერთობას.”